ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3548311

ნომერი: AR1540235

თარიღი : 13.09.2017

გაცემის თარიღი : 19.09.2017

გაცნობის თარიღი : 20.09.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 74/11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ ფალავანდიშვილი პ/ნ 01017014926
- თბილისი ამაღლების ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან თქვენს დაინტერესებაში არსებული ფართის ფასადზე არ არის სრულად განხორციელებული 21/08/2017წ. AR1534237 განცხადების №3519301 გადაწყვეტილებით შეთანხმებული სამუშაოები, საჭიროა კონდიციონერის აგრეგატების მოწყობის შესაძლებლობის საკითხი ერთ-ერთ პუნქტათ დააყენოთ აღნიშნული გადაწყვეტილების კორექტირების კუთხით.
ამასთან გაითვალისწინეთ:

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის თანახმად: სარეცხის საშრობი-გასაფენი, გათბობის, კონდიცირების და სხვა მსგავსი მოწყობილობები/დანადგარები უნდა განთავსდნენ შენობის შიგნით, სპეციალურად გამოყოფილ სათავსოებში. მათი არ არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია მათი განთავსება ექსტერიერის ვიზუალურად ნაკლებად აღქმად ნაწილებზე, ერთიანი მოწესრიგებული სახით. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მათი შემოსვა-შენიღბვა დეკორატიული ელემენტებით (ჟალუზი, ეკრანი და სხვა) და მათი არქიტექტურულ-მხატვრული მხარის ფასადებთან ერთად ერთიან სისტემაში გადაწყვეტა. დაუშვებელია ასეთი მოწყობილობა-დანადგრების განთავსება ქუჩის მხარე ფასადზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე AR1540235 განცხადება რჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.